მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მოქალაქეთა სამედიცინო და მედიკამენტური მკურნალობა.

| N | პროგრამის დასახელება | ბენეფიციარი |
|---|---|---|
| 1 | ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსება | 132 |
| 2 | ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება | 138 |
| 3 | ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 47 |
| 4 | ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა | 85 |
| | **სულ** | **402** |

**სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

| N | პროგრამის დასახელება | ბენეფიციარი |
|---|---|---|
| 1 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომოდ სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა | 168 |
| 2 | ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური დახმარება | 80 |
| 3 | მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება | 1 |
| 4 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ფინანსური დახმარება | 66 |
| 5 | ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება; | 4 |
| 6 | მრავალშვილიან (სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 119 |
| 7 | მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 37 |
| 8 | უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა | 8 |
| 9 | მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 6 |

| | | |
|---|---|---|
| 10 | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ფინანსური დახმარება | 16 |
| 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ფინანსური დახმარება | 154 |
| 12 | 100 წლისა და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება. | 0 |
| | **ს უ ლ** | **659** |

## ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

### საშემოსავლო ნაწილი

(ათას ლარებში)

**შემოსულობები** შესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 17 749.6 ათ. ლარი, შემოსულია 14 722,7 ათ.ლარი.

მათ შორის:

1. **შემოსავლები** შესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 17489,6 ათ. ლარი, შემოსულია 14439,1 ათ.ლარი. აქედან:

**გადასახადები შესრულებულია** 98 % -ით. გეგმიური 7672,5 ათ. ლარი, შემოსულია 7529 ათ.ლარი.

**მათ შორის:**

- გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე შესრულებულია 98 %. გეგმიური 6874,0 ათ. ლარი, შემოსავალი არის 6769,0 ათ ლარი. (დამატებითი ღირებულების გადასახადი).
- ქონების გადასახადი შესრულებულია 95 %-ით. გეგმიური 798,5 ათ. ლარი, შემოსავალი არის 760,4 ათ. ლარი.

**გრანტი ცენტრალური ბიუჯეტიდან** შესრულებულია 69 %-ით. გეგმიური 9187,3 ათ. ლარიდან, ათვისებულია 6329 ათ. ლარი. აქედან:

1. **სხვა შემოსავლები** შესრულებულია 92 %-ით. გეგმიური 629,8 ათ. ლარი, შემოსულია 581,2 ათ. ლარი. მათ შორის:
   - შემოსავლები საკუთრებიდან შესრულებულია 82 %-ით. ნაცვლად გეგმიური 389,0 ათ. ლარისა, შემოსულია 320,5 ათ. ლარი.
   - შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შესრულებულია 126%-ით. ნაცვლად გეგმიური 68,8 ათ. ლარისა, შემოსულია 86,6 ათ. ლარი.
   - სანქციები, ჯარიმები და საურავები შესრულებულია 101%-ით. გეგმიური 157,0 ათ. ლარისა, შემოსულია 157,8 ათ. ლარი.
   - ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შესრულებულია 108%-ით. ნაცვლად გეგმიური 15,0 ათ. ლარისა, შემოსულია 16,3 ათ. ლარი.
2. **არაფინანსური აქტივების კლება** შესრულებულია 109 %-ით. ნაცვლად გეგმიური 260,0 ათ. ლარისა, შემოსულია 283,5 ათ. ლარი.

### ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა შესრულებულია 77 %-ით. გეგმა 19 139,8 ათ ლარი, ფაქტიური შესრულება 14 671,0 ათ.ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 91 %-ით. გეგმიური 8401,6 ათ.ლარი, შესრულება შეადგენს 7612,3 ათ.ლარს.

მათ შორის:

| დასახელება | გეგმა | ხარჯი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 2031,9 | 1810,2 | 89 |
| საქონელი და მომსახურება | 1882,5 | 1603,1 | 85 |
| პროცენტი | 30,8 | 28,2 | 92 |
| სუბსიდია | 3597,0 | 3436,7 | 96 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 534,4 | 470,0 | 88 |
| სხვა ხარჯები | 325,0 | 264,1 | 81 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 10684,2 | 7004,9 | 66 |
| ვალდებულების კლება | 54,0 | 53,9 | 100 |

**პრიორიტეტი - 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**
სულ შესრულებულია 89 %-ით. გეგმიური 3048,0 ათ.ლარი, ათვისებულია 2714,0 ათ. ლარი.

*პროგრამები:*

**01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა**
სულ შესრულებულია 89 %-ით. გეგმიური 2961,0 ათ.ლარი, ათვისებულია 2632,0 ათ. ლარი.
მათ შორის:

- **01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო**

სულ შესრულებულია 83 %-ით . გეგმიური 850,0 ათ.ლარი, ათვისებულია 709,4 ათ. ლარი.
ხარჯები ათვისებულია 82 %-ით . გეგმიური 772,1 ათ.ლარი, ათვისებულია 632,0 ათ. ლარი.

- **01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია**

სულ შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 2050,3 ათ.ლარი, ათვისებულია 1872,0 ათ. ლარი.
ხარჯები ათვისებულია 91 %–ით. გეგმიური 1947,0 ათ. ლარი, ათვისებულია 1776,2 ათ. ლარი.

- **01 01 03 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური**

სულ შესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 60,7 ათ.ლარი, ათვისებულია 50,5 ათ. ლარი.
ხარჯები ათვისებულია 86 %-ით. გეგმიური 58,9 ათ.ლარი, ათვისებულია 50,5 ათ. ლარი.

**01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები**
სულ შესრულებულია **94** %-ით. გეგმიური 87,3 ათ.ლარი, ათვისებულია 82,1 ათ. ლარი.

- **01 02 01 სარეზერვო ფონდი** გეგმა 20,0 ათ. ლარი. ათვისებულია 19,1 ათ. ლარი. მათ შორის:

1. სოფ. ლიხეთში ხანძრით დაზარალებული ოჯახისათვის პირველადი სასურსათო პაკეტის შესაძენა - 394 ლარი.
2. უკრაინაში საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის სურსათისა და ჰიგიენური საშუალებების შეძენა და ტრანსპორტირება - 4990 ლარი.

3. უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვა - 1000 ლარი.
4. სოფ. ნიკორწმინდაში დაზიანებული წყალსადენის მაგისტრალის შესაკეთებლად - 12 746 ლარი;

- **01 02 02 წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა** გეგმა 1,6 ათ.ლარი, ხარჯვა არ განხორციელებულა.

- **01 02 03 მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა** შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 84,8 ათ.ლარი, ათვისებულია 82,1 ათ. ლარი.

**პროცენტი** შესრულებულია 92 %-ით. გეგმიური 30,8 ათ. ლარი, ათვისებულია 28,2 ათ. ლარი.

**ვალდებულებების კლება** შესრულებულია 100,0%-ით. გეგმიური 54,0 ათ. ლარი, ათვისებულია 53,9 ათ. ლარი.

**პრიორიტეტი - 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება** სულ შესრულებულია 70 %-ით. გეგმიური 11360,1 ათ.ლარი, ათვისებულია 7943,2 ათ. ლარი.

**02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**

სულ შესრულებულია 70 %-ით. გეგმიური 3705,0 ათ.ლარი, ათვისებულია 2594,0 ათ. ლარი.

აქედან:

- **02 01 01 გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება** შესრულებულია 78 %-ით.

გეგმიური 420,0 ათ.ლარი, ათვისებულია 328,3 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში სამუშაოები ჩატარდა მუნიციპალიტეტის 61 სოფელში, შეკეთებული იქნა დაახლოებით 230 კილომეტრამდე გზა. სტიქიური პროცესების გამო რამდენჯერმე მოხდა ერთიდაიგივე სოფელში შესვლა. სამუშაოების წარმოება მიმდინარეობს სოფლების საჭიროებებიდან გამომდინარე მოთხოვნმების შესაბამისად.

- **02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება** შესრულებულია 69 %-ით. გეგმიური 3285,0 ათ.ლარი, ათვისებულია 2265,4 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დასრულდა სოფ. კაჩაეთის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, მოწყობილია 2კმ ასფალტობეტონის საფარი;
- დასრულდა სოფ. კლდისუბნის გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. მოწყობილია 2,8 კმ ასფალტობეტონის საფარიანი გზა;
- დასრულდა სოფ. სადმელის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოების პირველი ეტაპი, მოწყობილია 2,3 კმ ბეტონის საფარიანი გზა;
- დასრულდა სოფ. ძირაგეულის სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, მოწყობილია 0,45 კმ ასფალტობეტონის საფარიანი გზა;
- დასრულდა სოფ. ჭყვიშის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, მოწყობილია1,8 კმ ბეტონის საფარიანი გზა;

თანხის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებისაგან:

სოფ. სხვავისა და სოფელ ხოტევისსასოფლო გზის რეაბილიტაციის პირველი რიგის სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი არ შედგა პირველ ჯერზე, გამოცხადებულია განმეორებითი ტენდერი.

სოფ. წესის, სოფ. ნიკორწმინდისა და სოფ. ჟოშხის სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე ხელშეკრულებები გაფორმდა სექტემბრის თვეში, მშენებლებს ავანსი არ გაუტანიათ.

სოფ. პირველი ტოლის საოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურები;

სოფ. იწაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა სექტემბრის ბოლოს, მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცედურები;

**02 02 წყლის სისტემების განვითარება**

სულ შესრულებულია 73 %-ით. გეგმიური 507,2 ათ.ლარი, ათვისებულია 371,5 ათ. ლარი.

აქედან:
- **02 02 01 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** შესრულებულია 96 %-ით. გეგმიური 327,6 ათ.ლარი, ათვისებულია 313,5 ათ. ლარი. მათ შორის:

- **02 02 01 01 წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი** შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 75,1 ათ.ლარი, ათვისებულია 75,1 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება წყლის სატუმბი სისტემების მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის ხარჯი.

- **02 02 01 02 წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა** შესრულებულია 94 %-ით. გეგმიური 252,5 ათ.ლარი, ათვისებულია 238,4 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ მუნიციპალური წყალმომარაგების მოვლა-შენახვის ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციაა მუნიციპალიტეტის სოფლებში უკვე არსებული წყლის ცენტრალური მაგისტრალების წერტილოვანი შეკეთება. სოფლების წყალმომარაგების სისტემის ცენტრალური მაგისტრალისა და შიდა ქსელის საერთო სიგრძე აღემატება 410 კმ. საანაგარიშო პერიოდში თითქმის ყოველდღიურად ახორციელებდა სამსახური სხვადასხვა სოფლებში წყალსადენის ქსელის აღდგენით სამუშაოებს. პეროდულად ა(ა)იპ ახდენს წყლის მაგისტრალების შემოვლა-შემოწმებას. საანაგრიშო პერიოდში მოხდა 381 გასვლა და შეკეთება მილსადენებისა და წყლის სათავე-ნაგებობების

- **02 02 02 წყლის სისტემების რეაბილიტაცია** შესრულებულია 32 %-ით. გეგმიური 179,6 ათ.ლარი, ათვისებულია 58,0 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში ხდება დაზიანებული წყლის სისტემების მიმდინარე შეკეთება საჭიროებისამებრ. მუნიციპალიტეტის სოფელ ბაჯის, სოფელ გორისა და სოფელ ხონჭიორის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებზე ტენდერი პირველ ჯერზე არ შედგა, გამოცხადებულია განმეორებითი ტენდერი.

**02 03 „გარე განათება“** სულ შესრულებულია 96 %-ით. გეგმიური 478,4 ათ.ლარი, ათვისებულია 459,0 ათ. ლარი.
მათ შორის:
**02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია** შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 475,2 ათ.ლარი, ათვისებულია 459,0 ათ. ლარი.

მათ შორის:
- **02 03 01 01 გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება** შესრულებულია 95 %-ით. გეგმიური 325,0 ათ. ლარი, ათვისებულია 309,6 ათ. ლარი.

- **02 03 01 02 გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა** შესრულებულია 99 %-ით. გეგმიური 150,3 ათ.ლარი, ათვისებულია 149,3 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულია 5775 ერთეული სანათი წერტილი, მათ შორის ქალაქ ამბროლაურში 2880, ხოლო სოფლებში 2895 სანათი წერტილი, მათი გამართული ფუნქციონირებისათვის საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განახორციელა შემდეგი სამუშაოები. შეიცვალა: 421 ცალი ლედნათურა; 395 ცალი სხვადასხვა სიმძლავრის ნათურა; 1650 მეტრი ელ.სადენი; 55 ცალი ელ. ჩამრთველი; 21 ცალი ელ. გამშვები; 264 ცალი ლედ ლამპიონი; 42 ცალი ფოტორელე; 83 ცალი ლამპიონი; 36 ცალი კაბელის ჩამჭერი; 41 ცალი დროსელი; 83 ცალი პროჟექტორი; 38 ცალი იგნიტორი; 12 ცალი რკინის ბოძი; 4 ცალი ადაპტერი; 135 ცალი კლიმნიკი; 5 ცალი მრიცხველი; 8 ცალი მრიცხველის ყუთი.

**02 06 კეთილმოწყობის ღონისძიებები** შესრულებულია 64 %-ით. გეგმიური 5322,0 ათ.ლარი, ათვისებულია 3382,1 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები, რომლებზეც საკასო შეუსრულებლობა გამოიწვია შემდეგმა პირობებმა:

- ქ. ამბროლაურში ბრატისლავა - რაჭის ქუჩის კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულდა სექტემბრის ბოლოს, საბოლოო შესრულების ანგარიშის მომზადებისათვის გადაცემულია საზედამხედველო კომპანიაზე;
- ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარე სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოების პროექტის ცვლილება განხორციელდა და გაიზარდა მოწოდების ვადა. სამუშაოები მიმდინარეობს;
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 8 ერთეული წყაროს თვალის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე განხორციელდა პროექტის ცვლილება, გაიზარდა მოწოდების ვადა, შესაბამისად საბოლოო ანაზღაურების განხორციელება ვერ მოხდა საანგარიშო პერიოდში.

**02 07 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 795,0 ათ.ლარი, ათვისებულია 717,1 ათ. ლარი.

ხელშეკრულებები გაფორმებულია 69 სოფლის პროექტზე. აქედან 01 ოქტომბრის მდგომარეობით დასრულებულია 61 პროექტი.

**02 08 სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია** შესრულებულია 86 %-ით. გეგმიური 130,0 ათ.ლარი, ათვისებულია 112,0 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში მოხდა წინა წელს წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაო საქმეთა პალატის გადაწყვეტილების აღსრულება (შპს „ლამოდერნას" სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, 32519 ლარით).

**02 09 რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექინკური ზედამხედველობის დაფინანსება** შესრულებულია 68 %-ით. გეგმიური 289,0 ათ.ლარი, ათვისებულია 197,3 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში თანხების გაცემა ხდება დადასტურებული შესრულების მიხედვით, ვინაიდან პროექტები კლიმატური პირობების გამო გვიან დაიწყო არ იყო სათანადოდ დადასტურებული შესრულებები, ამასთანავე პროექტის ზოგიერთმა ავტორმა საპროექტო დოკუმენტაციის მოწოდება სახელშეკრულებო ვადებში ვერ უზრუნველყო, ზოგი მიმდინარეა.

- სოფ. ბაჯში სვანიძეების უბნის წყალსადენის საპროექტო დოკუმენტაცია - პროექტი ჩაბარებულია;
- ქ. ამბროლაურში კოსტავას N20 ში მდებარე შენობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა - პროექტი ჩაბარებულია;
- ქ. ამბროლაურში ბრატისლავა რაჭის ქუჩის მრავალბინიანი საცხოვრებლების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა - პროექტი ჩაბარებულია;
- ბარაკონის მიმდებარე ტერიტორიაზე საფეხმავლო ხიდის, ხიდიკრის ხიდის განათების და ამფითეატრის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის პროექტზე გადაიწია ხელშეკრულების ვადა, შესაბამისად მოწედება ვერ მოხდა საანგარიშო პერიოდში;
- სოფელ ზედა ღვარდიის სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. პროექტირება მიმდინარეა.
- ქალაქ ამბროლაურში არსებული აგრარული ბაზრის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის" შესყიდვა. პროექტირება მიმდინარეა.
- ქალაქ ამბროლაურში მდინარე კრიხულაზე რ/ბეტონის დამცავი ჯებირის მოწყობის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - პროექტირება მიმდინარეა.

**02 10 სატრანსპორტო მომსახურება** შესრულებულია 81 %-ით. გეგმიური 119,4 ათ.ლარი, ათვისებულია 97,0 ათ. ლარი.

**პრიორიტეტი - 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა** შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 773,0 ათ.ლარი, ათვისებულია 752,0 ათ. ლარი.

*პროგრამები:*

- **03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა** შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 719,0 ათ.ლარი, ათვისებულია 698,3 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, რომელიც საანგარიშო პერიოდში ინტენსიურად ახორციელებდა ქალაქის ქუჩების (66351 მ$^2$), ტროტუარების (10125 მ$^2$), გაზონებისა (5855 მ$^2$) და სკვერების (19293 მ$^2$) დასუფთავებას; სანიაღვრე

არხების წმენდასა და ნარჩენების გატანას, როგორც ქალაქიდან ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებიდან (67 სოფელი) სულ განთავსებულია 690 ერთეული ნაგვის კონტეინერი. ქალაქ ამბროლაურის გარდა მუნიციპლაიტეტის 3 სოფელში (წესი, ნიკორწმინდა, ჭრებალო) ხორციელდება ცენტრალური მოედნებისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების დასუფთავება.

- **03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება** შესრულებულია 99 %-ით. გეგმიური 54,0 ათ.ლარი, ათვისებულია 53,5 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, რომელმაც საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი სახის სამუშაოები: მოიჭრა და დასაწყობდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში 34 ძირი ზეხმელი ხე; 5 სოფელში გაიკაფა სავალ გზაზე ხეები, რომლებიც გაუვალს ხდიდა გზის ნაწილს ნაგავმზიდი მანქანებისათვის; შემოიბარა ქალაქის ტერიტორიაზე ნერგები და შეთეთრდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე და აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული 300 ძირამდე ხე; გაიკრიჭა სკვერებში არსებული ბუჩქები და შეიწამლა ბზის გაზონები; გაითიბა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გაზონები და სკვერები დაახლოებით 6800 მ$^2$; დაითესა კოინდარი 180 მ$^2$ ფართობზე; დაირგო 15 ძირი ცაცხვის ნორჩი ხე; ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1595 ჰა ტყის მასივების პერიოდული შემოწმება-დათვალიერება.

**პრიორიტეტი - 04 00 განათლება** შესრულებულია 87 %-ით. გეგმიური 1302,2 ათ.ლარი, ათვისებულია 1133,0 ათ. ლარი.

*პროგრამები:*

- **04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა** შესრულებულია 95 %-ით. გეგმიური 865,5 ათ.ლარი, ათვისებულია 819,4 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი; ამბროლაურის საბავშვო ბაღშია 5 ასაკობრივი და ერთი შერეული ჯგუფი; სოფელ ჭრებალოს საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს ორი ასაკობრივი ჯგუფი, დანარჩენი საბავშვო ბაღები დაკომპლექტებულია შერეული ჯგუფებით, სადაც სწავლება მიმდინარეობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით მომზადებული 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარების სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო-სააღმზრდელო ერთიანი პროგრამით, რომლის მეთოდოლოგიად გამოყენებულია თემატური სწავლება. უფროსი ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელები გაერთიანებული არიან სასკოლო მზაობის ჯგუფებში, რომელიც ფუნქციონირებს ყველა საბავშვო ბაღში, სადაც მუშაობა მიმდინარეობს ახალი პროგრამის მიხედვით. პროგრამის საფუძველს წარმოადგენს ახალი სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, რაც გულისხმობს საბავშო ბაღებში ბავშვის მრავალმხრივი განვითარების შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის ზუსტად დაგეგმვას: მეთოდოლოგიურ რესურსს, სააღმზრდელო პროცესის ორგანიზებას, სპეციალურ ინსტრუქცია-რეკომენდაციებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სათანადო მოწყობას. საბავშვო ბაღებში პატარებს უტარდებათ ცეკვის, მუსიკის აქტივობები. გაზაფხულის სეზონის დადგომასთან შემაჯამებელ აქტივობების ფარგლებში, მუყაოს ფერადი ქაღალდებითა და დეკორატიული თიხით ჯგუფები ყვავილების აპლიკაციებით და დეკორაციებით გაალამაზეს. უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები ჩართული არიან სასკოლო მზაობის პროგრამაში, რაც უმნიშვნელოვანეს დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს ბაღსა და სკოლას შორის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის წარმატებით გადასვლას ნაკლებად ფორმალური გარემოდან შედარებით ფორმალურ გარემოში. სააღმზრდელო დაწესებულებაში შემავალ საბავშვო ბაღების სასკოლო მზაობის ჯგუფები 2022 წელს 95–მა აღსაზრდელმა დაამთავრა. გამოსაშვები ღონისძიებები თითოეულ ბაღში მხიარული თეატრალური წარმოდგენებით, ლექსებითა და სიმღრებით გაიმართა.

- **04 03 განათლების ღონისძიებები** შესრულებულია 29 %-ით. გეგმიური 38,0 ათ. ლარი, ათვისებულია 11,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები განათლების სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას; მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტთათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან - 65001 ქულამდე) სწავლის საფასურის ანაზღაურებას.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 3 სოციალურად დაუცველი პირველ კურსელი.

- **04 04 ა(ა)იპ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის** ბიუჯეტი შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 131,3 ათ.ლარი, ათვისებულია 130,7 ათ. ლარი.

დაწესებულებამ წარმატებით განახორციელა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები: „მოაზროვნე“; „ვკითხულობთ თანამედროვე მწერლობას“, „ძველი დიდების ნაკვალევზე“; „რა სამშობლო გვქონია“; ჩატარდა კონკურსი „მოაზროვნე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მესამე საფეხურის 100-მდე მოსწავლემ; „ვკითხულობთ თანამედროვე მწერლობას“ ფარგლებში გაიმართა მწერალ გივი ჩიღვინაძის შემოქმედებითი საღამო; პროექტ „ძველი დიდების ნაკვალევზე“ ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შემეცნებითი ჯგუფის წევრებმა იმოგზაურეს თურქეთში, ოთხი დღის განმავლობაში ჯგუფის წევრებმა მოიარეს: ისტორიული ქალაქი ტრაბზონი; ალტინდერეს ეროვნული პარკი; სუმელას სამონასტრო კომპლექსი; მცირე აია-სოფია; ბოზტეფეს გორაკი; ათათურქის პავილიონი და უზუნგოლის ტბა. შემეცნებითი ჯგუფის წევრებმა პროექტის „რა სამშობლო გვქონია“ ფარგლებში იმოგზაურეს იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის მხარეში, სადაც მოინახულეს: კურორტი საირმე, ზეკარის უღელტეხილი, დაბა აბასთუმანი-რომანოვების სასახლე, დედათა მონასტერი და წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ეკლესია, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს პროექტ „მწიგნობარის“ წარმატებით ჩასატარებლად.

- **04 05 საჯარო სკოლების ხელშეწყობა** შესრულებულია 64 %-ით. გეგმიური 267,3 ათ.ლარი, ათვისებულია 171,6 ათ. ლარი.

აღნიშნული პროგრამით განხორციელდა შემდეგი პროექტები:
- ქალაქ ამბროლაურში N1 საჯარო სკოლის ღობის მოწყობის სამუშაოები.
- სოფ. ხვანჭკარის საჯარო სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოები დასრულდა სექტემბრის მეორე ნახევარში და მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები.

**პრიორიტეტი - 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** შესრულებულია 78 %-ით. გეგმიური 2039,3 ათ.ლარი, ათვისებულია 1582,0 ათ. ლარი.

*პროგრამები:*

**05 01 სპორტის სფეროს განვითარება.** შესრულებულია 67 %-ით. გეგმიური 1157,4 ათ.ლარი, ათვისებულია 774,0 ათ. ლარი.
აქედან :
**05 01 01 სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა** შესრულებულია 94 %-ით. გეგმიური 612,0 ათ.ლარი, ათვისებულია 577,4 ათ. ლარი.

- **05 01 01 01 ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა** შესრულებულია 96 %-ით. გეგმიური 250,2 ათ.ლარი, ათვისებულია 241,1 ათ. ლარი.

სასპორტო სკოლამ საანგარიშო პერიოდში განახორციელა, როგორც ადგილობრივი, ისე გასვლითი ღონისძიებები, სადაც სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს. სკოლის კარატისტებმა ქალაქ თბილისსა და ქალაქ ტყიბულში გამართულ საქართველოს თასის გათამაშებაზე მოიპოვეს 25 სხვადასხვა ხარისხის მედალი, 8 კარატისტი შეყვანილია სხვადასხვა ასაკის საქართველოს ნაკრებ გუნდში. მალტაში ჩატარებულ ევროპის პირველობა კარატეში პირველი (ევროპის ჩემპიონი) და მეორე ადგილები სპორტ სკოლის მოსწავლეებმა გადაინაწილეს, და სკოლის მოსწავლემ მიიღო სპეციალური პრიზი საუკეთესო ბრძოლისთვის; წარმატებით დასრულდ ასპარეზობა სანდიაში გამართულ საერთაშორისო კარატის ტურნირზე, სადაც გუნდური პირველი ადგილი დაიკავა სკოლის აღსაზრდელებმა; სასპორტო სკოლის მოსწავლეები ასევე წარმატებით ასპარეზობენ მაგიდის ჩოგბურთის სპორტულ შეჯიბრებებზე - საქართველოს პირველობა; საქართველოს პირველობა წყვილთა შორის; ღოღობერიძის სახელობის თასის გათამაშება; თელავის ღია პირველობა ყველა ამ ღონისძიებაზე სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს პირველი, მეორე და მესამე ადგილები და ისინი შეყვანილი არიან საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ნაკრებ გუნდებში. სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს ჭადრაკისა და კალათბურთის მიმართულებები; ადგილობრივ ღონისძიებაზე ჭადრაკში წარმატებით იასპარეზეს სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა და საპრიზო ადგილები მოიპოვეს, რაც შეეხება კალათბურთს, 16 წლამდე ვაჟთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ბავშვთა ლიგაზე. ჩატარდა საჭადრაკო ღია ფესტივალი „რაჭა 2022“ ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელშიც მონაწილეობდა მიიღო 120-მდე ვაჟმა და გოგონამ. წარმტებით იასპარეზეს ამბროლაურელმა მონაწილეებმა: 16 წლამდე გოგონათა შორის პირველი ადგილი მოიპოვა

ამბროლაურელმა მოჭადრაკემ; 16 წლამდე ვაჟებში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ასევე ამბროლაურელმა მოჭადრაკემ; 14 წლამდე ვაჟებში მეორე საპრიზო ადგილიც ამბროლაურელმა მოჭადრაკემ მოიპოვა.

- **05 01 01 02 ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი"-ს ბიუჯეტი** შესრულებულია 88 %-ით. გეგმიური 151,5 ათ.ლარი, ათვისებულია 133,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში ჭიდაობის კლუბი ფალავანის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში კერძოდ: რუმინეთში ქ.კლუჟნაპოვაში გამართულ რუმინეთის საერთაშორისო ტურნირზე, უმცროსი ასაკის ჭაბუკებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკებმა 4 ოქროს, 6 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს მედალი და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს; ბულგარეთში ქ. პლოვდივში გამართულ ევროპის 23 წლამდე ახალგაზრდების პირველობა, თავისუფალი ჭიდაობაში პირველი ადგილი დაიკავა (70 კგ) „ფალავანი-ს მოჭიდავემ; უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში 28 მარტიდან 03 აპრილამდე ევროპის პირველობაზე 74 კგ. კატეგორიაში „ფალავანი-ს მოჭიდავემ მოიპოვა მესამე ადგილი; ხორვატიაში ქ.ზაგრები გამართულ ევროპის უმცროსი ასაკის ჭაბუკთა პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში (75 კგ) „ფალავანი-ს მოჭიდავემ დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული; ქ. რუსთავში 2022 წლის 28-31 იანვარს გამართულ საქართველოს 23 წლამდე ახალგაზრდების პირველობა, თავისუფალ ჭიდაობაში (70კგ) „ფალავანი-ს მოჭიდავემ პირველი და მეორე ადგილები დაიკავა; ქ. გორში 2022 წლის 25-27 თებერვალს გამართულ ნუგზარ სხიერელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, უმცროს ჭაბუკებს შორის, თავისუფალ ჭიდაობაში მე-3 ადგილი (32კგ) „ფალავანი-ს მოჭიდავემ დაიკავა. წონით კატეგორიაში; 2022 წლის 03-05 აპრილს ქ. ხაშურში გამართულ საქართველოს ჭაბუკების პირველობა, თავისუფალ ჭიდაობაში 65 კგ. წონით კატეგორიაში მე-2 ადგილი დაიკავა „ფალავანი-ს მოჭიდავემ; ასევე 110 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი მოიპოვა „ფალავანი-ს მოჭიდავემ; 2022 წლის 05-07 აპრილს ქ. გორში გამართულ „გიორგი ხინჩეგაშვილის" სახელობის სსოვნისადმი მიძღვნილი „უმცროსი ასაკის" ჭაბუკების ტურნირი, თავისუფალ ჭიდაობაში მეორე და მესამე ადგილი დაიკავა „ფალავანი-ს მოჭიდავემ (44 კგ- 86 კგ); 2022 წლის 09 აპრილიდან პირველ მაისამდე გამართულ საქართველოს უმცროსი ასაკის პირველობა, თავისუფალ ჭიდაობაში პირველი ადგილი დაიკავა „ფალავანი-ს მოჭიდავემ (70 კგ), მესამე ადგილიც - „ფალავანი-ს მოჭიდავემ (44 კგ). 2022 წლის 22-24 ივლისს ონში ჩატარებულ დავით გობეჯიშვილის სახელობის მსოფლიოს დასაყენებელი ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში მონაწილეობდა 250 მონაწილე 10 წონით კატეგორიაში, „ფალავანის" მოჭიდავეებმა ერთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს;

- **05 01 01 03 ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი** შესრულებულია 99 %-ით. გეგმიური 88,0 ათ.ლარი, ათვისებულია 87,0 ათ. ლარი. გარკვეული მიზეზების გამო დაწესებულებამ მოქალაქეთა მიღება დაიწყო 20 ივნისიდან და ფუნქციონირებდა 20 სექტემბრამდე. ამ პერიოდში დახურულ აუზით ისარგებლა 286 ვიზიტორმა; ღია აუზით-158 ვიზიტორმა

- **05 01 01 04 ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა"-ს ბიუჯეტი** შესრულებულია 95 %-ით. გეგმიური 122,1 ათ.ლარი, ათვისებულია 116,3 ათ. ლარი.

იანვრიდან კლუბმა დაიწყო სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების საწვრთნელი პროცესები, თებერვალში შეირჩა ჩემპიონატში გამსვლელი ასაკობრივი გუნები; დაკომპლექტდა ასოკობრივი ნაკრებები; პირველ ეტაპზე კლუბი ჩაერთო იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში ორი ასაკობრივი გუნდით; 2007 წელს დაბადებული მოზარდები იბრძვიან ჩემპიონობისთვის, ამ ეტაპისთვის აქვთ 27 ქულა და არიან მეორე ადგილზე. კლუბი ორი გუნდით - „რაჭა ჭრებალო" და „რაჭა" მონაწილეობას ღებულობს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ფეხბურთის ფდერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში, სადაც „რაჭა ჭრებალო" პირველი წრის ჩემპონია და წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას, ხოლო გუნდი „რაჭა" იკავებს მეოთხე პოზიციას. კლუბში გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს საწვრთნელი პროცესები, ამ ეტაპისათვის ჩემპიონატები შესულია დასკვნით ფაზაში, დარჩენილია ბოლო ტურები და ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გამოცხადდება მცირე საზაფხულო შესვენება. ივლისის თვეში კლუბმა უმასპინძლაეროვნული ლიგა2-ის წარმომადგენელს საფეხბურთო გუნდ „სპაერს" 10 დღიან შეკრებაზე.

- **05 01 02 კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში** შესრულებულია 36 %-ით. გეგმიური 545,6 ათ.ლარი, ათვისებულია 197,0 ათ. ლარი.

თანხის აუთვისებლობა გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ „ქ. ამბროლაურში, როგორც რეგიონული ცენტრის სოციალურ-ეკონომიკური, სპორტული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ღია სპორტული კომპლესის მშენებლობის სამუშაოები"-ს შესყიდვის ტენდერი რამდენჯერმე არ შედგა. ხელშეკრულების

გაფორმების შემდეგ განხორციელდა პროექტის ცვლილებები, რამაც გამოიწვია მიღება-ჩაბარების პროცედურების შეფერხება. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები გაცილებით მეტია.

**05 02 კულტურის სფეროს განვითარება** შესრულებულია 92 %-ით. გეგმიური 865,0 ათ.ლარი, ათვისებულია 799,0 ათ. ლარი.
აქედან:

**05 02 01 კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა** ბიუჯეტი შესრულებულია 95 %-ით. გეგმიური 649,4 ათ.ლარი, ათვისებულია 616,0 ათ. ლარი.

- **05 02 01 01 ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრის** ბიუჯეტი შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 459,2 ათ.ლარი, ათვისებულია 447,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა და მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში: ანსაბლი „ივანანა“, ანსაბლი „საგალობელი“ და ხალხურ საკრავთა დუეტი - დავით სხირტლაძის და თორნიკე სხიერელის შემადგენლობით მონაწილეობდა ფოლკლორული ფსტივალის პირველ შესარჩევ ტურში, რომელიც ქ. ონში გაიმართა; გელა ისიანის რეჟისორობით სოფ. ურავის სასოფლო კლუბში დაიდგა თოჯინების თეატრის სპექტაკლი „ბატის ჭუკი“, იგივე სპექტაკლის ჩვენება მოეწყო სოფ. ჭრებალოს სასოფლო კლუბში; ანსაბლი „საგალობელი“ მიწვეული იქნა სატელევიზიო შოუში; ანსაბლმა „ივანანა“-მ მონაწილეობა მიიღო ქ. ონის კულტურის სახლში გამართულ პოეზიის საღამოზე; გაიხსნა ქალთა ფოლკლორული ანსაბლ „ივანანა“-ს ვარსკვლავი; მოეწყო თოჯინების თეატრის ჩვენება „ოქროს წიწილა“, ადგილობრივ სცენაზე, გელა ისიანის რეჟისორობით; ანსაბლები „ივანანა“ და „საგალობელი“ მიწვეული იყო ქ. თბილისში, სადაც ფესტივალ „ფერხლში“ მიიღეს მონაწილეობა; ანსაბლები „ივანანა“ და „საგალობელი“ მონაწილეობდნენ ამბროლაურში გამარტულ „ღვინის ფესტივალზე“; 04 აგვისტოს გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე მონაწილეობა მიიღო კულტურის სახლის ყველა შემოქმედებითმა ჯგუფმა; ანსაბლებმა „საგალობელი“ და „ივანანა“ მონაწილეობა მიიღეს დღესასწაულ „ონელობაზე“; ანსაბლ „საგალობელმა“ მონაწილეობა მიიღო „თარიკონი“-ს ვარსკვლავის გახსნაზე; ანსაბლმა „ივანანამ“ მონაწილეობა მიიღო ლენტეხში ჩატარებულ „ლენტეხობა 2022“-ში.

საბიბლიოთეკო სამსახური საანაგრიშო პერიოდში მოემსახურა 900-ზე მეტ მკითხველს; გაიცა 6190 ცალი წიგნი; გასცა წერილობითი და ზეპირი ცნობები: ისტორია უკრაინის შესახებ; საქართველოს ღირსეული მამულიშვილები; ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება. საბიბლიოთეკო სამსახურმა ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები: პოეტ ზურაბ ჯაფარიძის საღამო-გახსენება; წიგნის კითხვის მსოფლიო დღე; ლიტერატურული ღონისძიება „გაზაფხული დადგაო“; 02 მაისიდან 06 მაისის ჩათვლით ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეული: 1. საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა „ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი სამყაროა“ მოეწყო ამბროლაურის მთავარ ბიბლიოთეკაში; 2. „მე დავიბადე აპრილის თვეში“ გაიმართა სოფ. წესის ბიბლიოთეკაში. 3. „პოეზია, მამულის საგალობელი“ გაიმართა ქ. ამბროლაურის საბავშვო ბიბლიოთეკაში. 4. „მე და ჩემი წიგნის თარო“ გაიმართა სოფ. სადმელის ბიბლიოთეკაში. 5. საბიბლიოთეკო კვირეულის საზეიმო დახურვა შედგა ქ. ამბროლაურის საბავშვო ბიბლიოთეკაში; სოფ. ლიხეთსა და აბარში მოეწყო პოეზიის საღამო „ჩემი ხატია სამშობლო“; მოეწყო ლიკა ჭელიძის წიგნის „სიმშვიდის იმიტაცია“ პრეზენტაცია; გიორგი გიორგობიანის წიგნის - „ქართული ძეგლების დოკუმენტალისტი“ პრეზენტაცია;

საბავშვო ბიბლიოთეკაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე - „ტომები, ხალხები, სახელმწიფო გაქრა, წიგნი კი დარჩა“. 2. დავით აღმაშენებლის ხსენების დღე - „ძლევაი საკვირველი“. 3. დედისა და ქალთა დღეები. 4. საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე - „გავუფრთხილდეთ წიგნს, ადამიანის გონებისა და გენიის საგანძურს“. 5. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - „ბავშვი სათავე, დასაწყისია დიდი ადამიანისა“. გაიმართა ღონისძიება შევისწავლოთ ჩვენი მხარე - „მარგალიტები მიკრეფია ხარისთვალზე“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (103 ძეგლი, აქედან 7 ეროვნული მნიშვნელობის) მოვლა-პატრონობის ფარგლებში, ფიქსაცია-აღრიცხვის მიზნით მიმდინარე წელს მოეწყო გასვლები სხვადასხვა სოფლებში: სოფელ ხიმშში წმინდა გიორგის ეკლესია, დაფიქსირდა ძველი ნასოფლარის ნაშთები; სოფელი პირველი ტოლა - მაცხოვრის ეკლესია; სოფელი სხვავა - ძელიცხოველი; სოფელი გორი - წმინდა გიორგის ეკლესია; სოფელი ზნაკვა - მაცხოვრის ეკლესია. სამსახურმა მოახდინა ნიკორწმინდის ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობის დაფიქსირება - ფოტოგადაღება ექსტერიერ-ინტერიერში, აღნიშნული ფოტომასალით გაკეთდა ბუკლეტი „ნიკორწმინდა 2022“. სამსახურის თანამშრომლების მიერ სოფელ სხვავაში მცენარეული საფარისგან გაიწმინდა „ქვის ხიდის“ მიმდებარე ტერიტორია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ციხე-კოშკების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ წერილობითი ინფორმაცია მიეწოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს; განახლებადია მუნიციპალიტეტის ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალში მოქცეულ ისტორიულ ძეგლებზე ფოტო და ვიდეოთეკის შევსება; შეიქმნა ალბომების ელ. ვერსია. სამსახურის მიერ განხორციელდა გასვლა და დრონის საშუალებით დაფიქსირებული იქნა

ამბროლაურის-ნიკორწმინდა-კაჩაეთის მიმართულებით არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, გადაღებული მასალით მოხდა ვიდეო კლიპების შექმნა, მასალა განთავსდა სოციალურ ქსელში;

- **05 02 01 02 ა(ა)იპ ამბროლაურის ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლის ბიუჯეტი** შესრულებულია 96 %-ით. გეგმიური 82,0 ათ.ლარი, ათვისებულია 79,1 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში სახელოვნებო სკოლა ახორციელებდა და ჩართული იყო სხვადასხვა ღონისძიებებში. ქორეოგრაფიულ განყოფილებაში მიმდინარეობს ინტენსიური რეპეტიციები. ანსაბლები „თი-ემ-სი" და „რაშოვდა" ამზადებენ ახალ საკონცერტო რეპერტუარს; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ხელოვნების სკოლამ მოაწყო ფლეშ-მობი; სკოლაში გაიმართა ფორტეპიანოს განყოფილების მოსწავლეთა მოსმენა; ჩატარდა ქართულ ხალხური ცეკვის პირველი ჯგუფის მოსწავლეთა ღია გაკვეთილი; სკოლის დარბაზში გაიმართა მოსწავლეთა შემაჯამებელი კონცერტი. ქ. ონში ჩატარებულ ქორეოგრაფიული კავშირის მიერ დაფუძნებული ფოლკლორულ ფესტივალ „კავკასია 2022" ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სკოლის ქრეოგრაფიულმა ანსამბლებმა „რაშოვდა" და „თიემსი". ხელოვნების სკოლის ინიციატივით ჩატარდა თიკო ტურძილაძისათვის მიძღვნილი საქველმოქმედო საღამო; ქორეოგრაფიული ანსაბლი „რაშოვდა" მონაწილეობდა ბათუმის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „ოქროს ბათუმი", სადაც ანსაბლმა მოიპოვა გრან პრი; ქობულეთში გამართულ საერთაშორისო საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „ნარინჯისფერი ქობულეთი" ქორეოგრაფიულმა ანსაბლმა „TMS"-მა მოიპოვა გრან პრი; სახალხო დღესასწაულ ონელობაზე მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსაბლმა „რაშოვდა"

- **05 02 01 03 ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა** შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 52,4 ათ.ლარი, ათვისებულია 47,0 ათ. ლარი.

საანაგრიშო პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა ჯგუფში ჩატარდა შიდა საკლასო ე.წ. „მინი გამოფენა", რაც ერთგვარი წამახალისებელი და სტიმულის მომცემია მოსწავლეებისათვის; საგამოფენო დარბაზში მოეწყო სახვითი ხელოვნების ჯგუფის ერთ -ერთი წარჩინებული მოსწავლის, გიგი გიორგობიანის, ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები; სამხატვრო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქ.ონში გამართულ ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში, სადაც სკოლის მიერ წარდგენილი იქნა ფოლკლორის თემასთან მისადაგებული ნამუშევრები; სკოლის სალონურ გარემოში მოეწყო წარჩინებულ მოსწავლეთა გამორჩეული ნამუშევრების გამოფენა; სკოლის უფროსკლასელმ ამოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ღონისძიებაში „ჩვენ ასე ვხედავთ", სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს დამთვალიერებების მიერ; 26 მაისის ღონისძიებაზე სამხატვრო სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის ნამუშევართა ფერადი კუთხე; ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე წაროდგენილი იქნა სკოლის მოსწავლეების ნამუშევრები, ბავშვებმა ფერადი ცარცებით ასფალტზე შეასრულეს თემატური ნახატები; სოლიდარობა გამოუცხადეს უკრაინე ბავშვებს და უსურვეს მშვიდობა; აფხაზინტერკონტისა და განათლებისა და დასაქმების ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ რეგიონალურ ფორუმზე გამართულ კონკურს-გამოფენაზე „მოხალისეობა და სამოქალაქო აქტივიზმი" მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა და ერთ-ერთმა ნამუშევარმა პირველი ადგილი დაიკავა. 25 ივლისს მოეწყო თვითნასწავლი ხელოვანის, ნინო ჯებაშვილის, ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნა ნაქარგები, ხელნაკეთი აქსესუარები და სხვა. სკოლამ ჩაატარა გასვლითი ღონისძიება ქ. ონში ონელობის დღესთან დაკავშირებით და სკოლის რამდენიმე პედაგოგმა წარადგინა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

- **05 02 01 04 ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბიუჯეტი** შესრულებულია 77 %-ით. გეგმიური 55,7 ათ.ლარი, ათვისებულია 43,2 ათ. ლარი.

მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 868 ექსპონატი. 602 ექსპონატი სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ხოლო 266 - აბარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. წლის განმავლობაში მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს. მუზეუმში წლის განმავლობაში ეწყობა სხვადასხვა ღნისძიებები და გამოფენები. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღონისძიებებია: სახვითი ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზების რეექსპოზიცია; ფოტო-გამოფენა „ტრადიციული რაჭული სამოსი"; საგაზაფხულო გამოფენა; მუზეუმში დაცული

პორტრეტების გამოფენა; აქცია-გამოფენა „ღამე მუზეუმში“, კვირეულის ფარგლებში განხორციელდა - რესტავრირებული ნამუშევრების გამოფენა; ქანდაკებების გამოფენა; ეთნოგრაფიული ნივთების გამოფენა; პოეტ გურამ გორდეზიანის ახალი კრებულის პრეზენტაცია და შემოქმედებითი საღამო. მუზეუმში მოეწყო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა, რმელშიც მონაწილეობა მიიღეს ამბროლაურის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, გამოფენილი იქნა მათი ნამუშევრები; განახლდა ფერწერის დარბაზი; მუზეუმის კოლექციას შეემატა მხატვარ გიორგი ვართაგავას გრაფიკული ნამუშევრები; მოეწყო მამუკა კობახიძის ნამუშევრების გამოფენა; მოხდა ფერწერის დარბაზის რეექსპოზიცია.

- **05 02 02 „კულტურის ღონისძიებები“ პროგრამის ბიუჯეტი** შესრულებულია 64 %-ით. გეგმიური 63,3 ათ.ლარი, ათვისებულია 40,6 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საქართველოს სახელმწიფო დროშის დღის აღსანიშნავი აქციის ორგანიზება; ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის” ფარგლებში გაიცა 23 ფულადი ჯილდო; 26 მაისის ღონისძიების სპორტულ კომპონენტში (ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, 3*3 კალათბურთი) წარმატებულ პირებს გადაეცა სასაჩუქრე ვაუჩერები და ფასიანი საჩუქრები; მესტიის თეატრის გასტროლის ორგანიზება; ანსაბლ „თარიკონის“ კონცერტის ორგანიზება; ოთო ნემსაძის კონცერტის ორგანიზება;

- **05 02 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** შესრულებულია 100 %-ით გეგმა 50,0 ათ. ლარი; ათვისება 50 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს ნიკორწმინდის ეპარქიის შემადგენლობაში შემავალი ეკლესია-მონასტრებისა და მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობას.

- **05 02 05 გაზეთის მომსახურების დაფინანსება** შესრულებულია 93 %-ით. გეგმიური 10,5 ათ.ლარი, ათვისებულია 9,7 ათ. ლარი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“-ს ბეჭდვა.

- **05 02 06 ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი** შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 92,0 ათ.ლარი, ათვისებულია 82,5 ათ. ლარი.

ტურისტულმა ცენტრმა საანაგრიშო პერიოდში კოორდინაცია გაუწია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს „ჰიგიენა და სურსათის უვნებლობა“, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ ცენტრის თანამშრომლები; თანამშრომელბის მიერ ოპერატიულად განხორციელდა ცენტრის ბაზაზე არსებული, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ტურისტული საფეხმავლო ბილიკების შემოვლა; მოხდა ბილიკების მონიტორინგი; მარკირების, ნიშნულებისა და საინფორმაციო დაფების აღრიცხვა; დაიბეჭდა და მონტაჟის პროცესშია დაზიანებული ნიშნულები; მოხდა ბილიკების ხელხალი აზომვა-განახლება ტურისტებისათვის უსაფრთხოებისა და თვალსაჩინოების შექმნის მიზნით; პროცესშია არსებული ბილიკების წმენდა, რაშიც აქტურ მონაწილეობას იღებენ სპეციალური-სოციალური პრგრამით დასქმებული ბენეფიციარები; აქტიურად მიმდინარეობს ქ. ამბროლაურსა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების (განთავსების/კვების ობიექტები/მარნები) შემოვლა, ტურისტულ ცენტრში ფიქსირებულ ბაზას დაემატა 20-მდე ობიექტი, რომელთა შესახებ ინფორმაცის განთავსება, ცნობადობის გაზრდის მზნით, ხდება ცენტრის ფეისბუქ გვერდზე InRacha. ტურისტულმა ცენტრმა საანგარიშო პერიოდში უმასპნძლა 1261 ვიზიტორს, თუმცა სატელეფონო და ონლაინ კავშირით აქტიურდ ხდება ინფორმაციის მოთხოვნა, რომელსაც ცენტრის თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში აწვდიან დაინტერესებულ პირებს. ქ. ამბროლაურში გაიმართა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგი სასტუმროებისა და კვების ობიექტებისათვის სახელწოდებით “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ტურისტული სერვისები-მომსახურება და უსაფრტხოება“; ტურისტული ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა „იმედის“ტელევიზიის ჟურნალისტებისა და ოპერატორების სამ დღიანი ტური რაჭაში, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სიუჟეტი „შემოდგომის რაჭა“ და გაშუქდა „დილის შოუ“-ში, გადაღებული ვიდეო მასალა გადაეცემა ტურისტულ ცენტრს და გამოყენებული იქნება ფესტივალებსა და გამოფენებზე რაჭის პოპულარიზაციის მიზნით.

- **05 03 „ახალგაზრდობის მხარდაჭერა“** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 54 %-ით. გეგმიური 17,0 ათ.ლარი, ათვისებულია 9,2 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს წევრების წახალისება-მოტივირებისთვის ბრენდირებული მაისურების, ჩანთების, ბლოკნოტების და კალმების შესყიდვის განხორციელება; საგანმანათლებლო პორტალი ,,izrune.ge" მომსახურების ანაზღაურება; საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის" მომსახურების შესყიდვა; COVID – 19 ვირუსის პრევენციასთან დაკავშირებული საინფორმაციო პოსტერების ბეჭდვა და სამიზნე ჯგუფებში გავრცელება; თავისუფალი სტილით ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატის (23 წლამდელთა შორის) ოქროს მედალოსნის (გიორგი ელბაქიძე) მოტივირება-წახალისებისთვის სუვენირის - „ტარიელის და ვეფხის შერკინების" შესყიდვა; „კუდოში" საქართველოს თასის ღონისძიების ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ჩატარების თანაორგანიზება; ველო მარათონის (მოყვარულთა ველო შეჯიბრი - 58 საერთაშორისო მონაწილე) გამართვის ხელშეწყობა. დამზადდა წამახალისებელი მადლობის სიგელები.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს -ახალგაზრდული საბჭოს წევრების წახალისება-მოტივირებისათვის ბრენდირებული მაისურების, ჩანთების, ბლოკნოტებისა და კალმების შესყიდვა

**პრიორიტეტი - 06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**
შესრულებულია 89 %-ით. გეგმიური 617,5 ათ.ლარი, ათვისებულია 548,0 ათ. ლარი.

*პროგრამები:*

- **06 01 ჯანმრთელობის დაცვა** შესრულებულია 93 %-ით. გეგმიური 266,7 ათ.ლარი, ათვისებულია 247,4 ათ. ლარი.

- **06 01 01 საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 54,2 ათ.ლარი, ათვისებულია 52,5ათ. ლარი.

პროგრამის განმახორცილებელია ა(ა)იპ ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაწესებულებაში შესულია 146 სასწრაფო შეტყობინების ბარათი ცხოველების მიერ დაკბენილებისა და დადორბლილების შესახებ, ყველა შეტყობინება გადეცა სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონალურ სამმართველოს, დამკბენ ცხოველებზე 10 დღიანი მეთვალყურეობის დასამყარებლად, ყველა ცხოველი აღმოჩნდა კლინიკურად ჯანმრთელი, დაკბენილ პაციენტებს ჩაუტარდათ ვაქცინაციის სხვადასხვა კურსი, რისთვისაც ჯანდაცვის ცენტრმა გასცა შესაბამისი დოზა ანტირაბული ვაქცინა; ჯანდაცვის ცენტრმა ჩაატარა შემდეგი პროფილაქტიკური აცრები: პნევმოკოკური ტდ - 128 აცრა; ჰექსაქსიმი - 135 აცრა; ბცჟ -28აცრა; ჰეპატიტი ბ- 28 აცრა; როტა - 71 აცრა; ტეტრაქსიმი - 72 აცრა; წწყ - 136 აცრა; აპვ -22 აცრა.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჯანდაცვის ცენტრი მუშაობს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს ყველა რუტინული აცრისა და გაცემული ასაცრელი მასალის დაფიქსირებას ელექტრონულ მოდულში.

დაფიქსირებული იქნა შემდეგი ინფექციური დაავადებები: სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა - 33; სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა - 3; ცოფი რისკის მქონე ექსპოზიცია - 61; შიდსზე ტესტირებული - 203; შიდსზე ტესტირებული ორსულები - 21; ბორელიოზი -1; ტუბერკულოზი - 1;

